COVID-19 და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები: მითითებები

1. რა გავლენას ახდენს COVID-19 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის უფლებაზე?
2. რა გავლენას ახდენს COVID-19 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, რომლებიც დაწესებულებებში ცხოვრობენ?
3. რა გავლენას ახდენს COVID-19 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ცხოვრების უფლებაზე?
4. რა გავლენას ახდენს COVID-19 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამუშაოზე, შემოსავალზე და საარსებო წყაროზე?
5. რა გავლენას ახდენს COVID-19 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების უფლებაზე?
6. რა გავლენას ახდენს COVID-19 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძალადობისგან დაცვის უფლებაზე?
7. რა გავლენას ახდენს COVID-19 მოსახლეობის სპეციფიკურ ჯგუფებზე, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ჭარბად არიან წარმოდგენილი?
    ა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრები
    ბ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სათანადო საცხოვრებლის გარეშე

მიმოხილვა

მაშინ, როდესაც COVID-19 პანდემია საფრთხეს უქმნის საზოგადოების ყველა წევრს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე არაპროპორციული გავლენა ხდება დამოკიდებულების, ეკოლოგიური და ინსტიტუციური ბარიერების გამო, რომლებიც წარმოდგენილია COVID-19-ის საპასუხო რეაგირებაში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დიდ ნაწილს აქვს ჯანმრთელობას უკვე არსებული პრობლემური მდგომარეობა, რაც მათ უფრო მგრძნობიარეს ხდის ვირუსით დაინფიცირებისადმი, განიცდიან უფრო მწვავე სიმპტომებს, რაც იწვევს სიკვდილის დონის მატებას. COVID-19 კრიზისის დროს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც ყოველდღიურ მხარდაჭერაზე არიან დამოკიდებულნი, შეიძლება აღმოჩნდნენ იზოლირებულები და ვერ შეძლონ გადარჩენა მკაცრი იზოლაციის დროს, ხოლო დაწესებულებებში მცხოვრებნი განსაკუთრებით დაუცველები არიან, რასაც მოწმობს თავშესაფარში და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გარდაცვალების დიდი მაჩვენებელი. ინტენსიურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის სერვისებისა და ინფორმაციის მიღების ბარიერები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ასევე აწყდებიან დისკრიმინაციას და სხვა ბარიერებს საარსებო წყაროს და შემოსავლის მიღებისას, განათლების ონლაინ ფორმებში მონაწილეობისა და ძალადობისგან დაცვის ძიებისას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსაკუთრებული ჯგუფები, როგორიცაა პატიმრები და ისინი, ვინც ცხოვრობს უსახლკაროდ ან არ გააჩნიათ სათანადო საცხოვრებელი, კიდევ უფრო დიდ რისკებს აწყდებიან.

ამ რისკების შესახებ ინფორმირებულობა იწვევს უკეთეს რეაგირებას, რაც ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე არაპროპორციულ გავლენას. ამ მითითებების მიზანია:

- მოხდეს მეტი ინფორმირებულობა პანდემიის გავლენის შესახებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე და მათ უფლებებზე;

- ყურადღება მიექცეს რამდენიმე პერსპექტიულ პრაქტიკას, რომლებიც უკვე ხორციელდება მთელს მსოფლიოში;
- მოხდეს ძირითადი ქმედებების იდენტიფიცირება სახელმწიფოებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის; და
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე დაფუძნებული COVID-19 რეაგირების შემდგომი სწავლების რესურსების უზრუნველყოფა.

1. რა გავლენას ახდენს COVID-19 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის უფლებაზე?

მიუხედავად იმისა, რომ ეს ის მოსახლეობაა, რომელიც COVID-19-ით დაინფიცირების განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები კიდევ უფრო მეტ უთანასწორობას განიცდიან ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის მხრივ პანდემიის დროს, ჯანმრთელობის შესახებ არახელმისაწვდომი ინფორმაციისა და გარემოს გამო, აგრეთვე შერჩევითი სამედიცინო პრინციპებისა და პროტოკოლების გამო, რომლებიც შეიძლება ზრდიდეს დისკრიმინაციის მაჩვენებელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ეს პროტოკოლები ზოგჯერ ავლენს სამედიცინო ტენდენციებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ მათი ცხოვრების ხარისხისა და სოციალური ღირებულების მიმართ. მაგალითად, მწირი რესურსების მიხედვით დახარისხების სახელმძღვანელო პრინციპები, ზიანის ტიპზე დაფუძნებული შეზღუდვის კრიტერიუმები, ყოველდღიური არსებობისთვის დიდი მხარდაჭერის საჭიროება, "სისუსტე", "თერაპიული წარმატების" შანსები, აგრეთვე დარჩენილი "სასიცოცხლო წლების" ვარაუდი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მათ ოჯახებს ასევე უწევთ უარი თქვან რეანიმაციულ ზომებზე.

რა პერსპექტიული პრაქტიკები არსებობს?

- სან მარინოს რესპუბლიკის ბიოეთიკის კომიტეტმა წარმოადგინა COVID-19 სახელმძღვანელო მითითებები დახარისხების შესახებ, რაც კრძალავს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე: „ არჩევანის ერთადერთი პარამეტრი არის დახარისხების სწორი პროცედურა, ადამიანის სიცოცხლის პატივისცემა, მკურნალობის კლინიკური მიზანშეწონილობასა და პროპორციულობის კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ეთიკური თვალსაზრისით მიუღებელია ნებისმიერი სხვა შერჩევის კრიტერიუმი, როგორიცაა ასაკი, სქესი, სოციალური ან ეთნიკური კუთვნილება, შეზღუდული შესაძლებლობის გათვალისწინება, რადგან ეს ახდენს სიცოცხლის რანჟირებას იმის მიხედვით, თუ რომელია მეტ-ნაკლებად ღირებული, რაც ადამიანის უფლებების მიუღებელ დარღვევას წარმოადგენს."[1]
- ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობისა და ადამიანთა მომსახურების დეპარტამენტის სამოქალაქო უფლებების ოფისმა გამოაქვეყნა ბიულეტენი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხელისუფლებებმა აკრძალონ დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით, სადაც ნათქვამია, რომ "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ უნდა ეთქვათ უარი სამედიცინო დახმარებაზე სტერეოტიპების, ცხოვრების ხარისხის შეფასების ან ადამიანის „ღირებულების" საფუძველზე, შეზღუდული შესაძლებლობის ან ასაკის არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში".[2] ბიულეტენი ასევე წარმოადგენს სახელმძღვანელო მითითებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციისა და კომუნიკაციების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რათა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მცდელობებით, „მათ შორის გონივრული პირობების შექმნა, რათა უზრუნველყოფილ იქნას საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების წარმატებულობა და სტიგმატიზაციის შემცირება."

- **არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში** ჩაეშვა ეროვნული პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკუთარ სახლებში შემოწმების მიზნით და აპრილის შუა რიცხვების მონაცემებით, ჩატარდა 650,000 COVID-19 ტესტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე.[3]
- **ფილიპინებში,** ადამიანის უფლებათა კომისიამ გამოაქვეყნა ინფორმაცია ჯანმრთელობის სააგენტოების დასახმარებლად საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, საზოგადოებრივი შეტყობინებების შესადგენად.[4]
- **კანადაში**, შეიქმნა COVID-19 შეზღუდულ შესაძლებლობათ საკონსულტაციო ჯგუფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობით, რათა მთავრობას გაუწიოს კონსულტაცია შეზღუდული შესაძლებლობების სპეციფიკურ საკითხებზე, გამოწვევებსა და სისტემურ ხარვეზებსა და სტრატეგიებზე, განსახორციელებელ ზომებსა და ნაბიჯებზე.[5]

რა არის ძირითადი ქმედებები, რომელთა განხორციელება შეუძლიათ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს?

- **აიკრძალოს მკურნალობის შეზღუდვა შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე** და გაუქმდეს დებულებები, რომლებიც ხელს უშლის მკურნალობაზე წვდომას შეზღუდულ შესაძლებლობებზე, დახმარების საჭირო დონეზე, ცხოვრების ხარისხის შეფასებაზე ან სხვა ფორმით სამედიცინო დისკრიმინაციაზე დაყრდნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ, მათ შორის მწირი რესურსების განაწილების მითითებების შესრულებისას (როგორიცაა სასუნთქი აპარატები და ინტენსიური თერაპიის ხელმისაწვდომობა).
- მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა **სიმპტომების პრიორიტეტული ტესტირება.**
- **მოხდეს კვლევის ხელშეწყობა** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობაზე COVID-19-ის გავლენის შესახებ.
- **მკურნალობის ბარიერების იდენტიფიცირება და მოხსნა,** მათ შორის ხელმისაწვდომი გარემოს უზრუნველყოფა (საავადმყოფოები, ტესტირება და საკარანტინო დაწესებულებები), აგრეთვე ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციისა და კომუნიკაციების ხელმისაწვდომ რეჟიმში და ფორმატში გავრცელება.
- პანდემიის დროს მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის **მედიკამენტების უწყვეტი მიწოდება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.**
- **ჯანდაცვის მუშაკების ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ცრურწმენისა და მიკერძოების საფუძველზე დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად.
- **მჭიდრო კონსულტაცია და აქტიური მონაწილეობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან და მათ წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან** პანდემიაზე უფლებებზე დაფუძნებული რეაგირების ფორმირებაში, რომელიც მოიცავს და პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მთელი თავისი მრავალფეროვნებით.

წყაროები

- გამონაკლისი არ არსებობს COVID-19-ის დროს: "ყველას აქვს სიცოცხლის გადასარჩენად ჩარევის უფლება" - ამბობენ გაეროს ექსპერტები
- გაეროს სპეციალური მომხსენებელი შშმ პირთა უფლებების შესახებ, COVID-19: ვინ იცავს შშმ პირებს?
- WHO, მოსაზრებები შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით COVID-19 აფეთქების დროს

2. რა გავლენას ახდენს COVID-19 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, რომლებიც დაწესებულებებში ცხოვრობენ?

COVID-19 არაპროპორციულ გავლენას ახდენს ფსიქიატრიულ დაწესებულებებზე, სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებზე (ბავშვთა სახლები, დღის მოვლის ცენტრები, სარეაბილიტაციო ცენტრები) და ხანდაზმული ადამიანების დაწესებულებებზე, რაც იწვევს ინფიცირების და სიკვდილის მაღალ მაჩვენებლებს. ზოგიერთ წინასწარი გამოკვლევის თანახმად, მზრუნველობათა სახლებში COVID-19-ით გარდაცვლილთა რაოდენობამ ამ ქვეყნებში 42% -დან 57% -მდე შეადგინა.[6] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ინსტიტუციონალიზებულ პირებს ემუქრებათ COVID-19-ით ინფიცირების გაზრდის რისკი ჯანმრთელობის ძირითადი პირობების, იქ მყოფთა და პერსონალისგან სოციალური დისტანცირების განხორციელების სირთულისა და პერსონალის მიერ უყურადღებობის გამო. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ასევე შესაძლოა ემუქრებოდეთ ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკები, როგორიცაა უგულებელყოფა, იზოლაცია და ძალადობა.

რა პერსპექტიული პრაქტიკები არსებობს?

- **შვეიცარიასა** და **ესპანეთში,** დაწესებულებებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დაწესებულებებიდან ოჯახებში გადაიყვანეს, სადაც ეს შესაძლებელი იყო.
- **კანადაში,** გამოიცა პრიორიტეტული ტესტირების სახელმძღვანელო მითითებები კონკრეტული ზომებით ინსტიტუციური პარამეტრებისთვის.[7]

რა არის ძირითადი ქმედებები, რომელთა განხორციელება შეუძლიათ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს?

- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გამოყვანა დაწესებულებებიდან** და მათთვის საზოგადოებაში დაუყოვნებლივი დახმარების გაწევა ოჯახური და/ან არაფორმალური ქსელების, და დაფინანსების დახმარების სერვისებით საჯარო ან კერძო მომსახურების მიმწოდებლების მიერ**.**
- **შუალედურ პერიოდში, პრიორიტეტული უნდა იყოს ტესტირება და ხელი შეეწყოს პრევენციულ ზომებს** დაწესებულებებში ინფიცირების რისკის შესამცირებლად იქ მაცხოვრებელთა ჭარბი რაოდენობის კონტროლით, მაცხოვრებლებისთვის ფიზიკური დისტანცირების ზომების გამოყენებით, ვიზიტის საათების შეცვლით, დამცავი აღჭურვილობის გამოყენებით და ჰიგიენის პირობების გაუმჯობესებით.
- **დაწესებულებების რესურსების**, მათ შორის ადამიანური რესურსებისა და ფინანსური რესურსების ***დროებითი*** ზრდა პრევენციული ზომების განსახორციელებლად.
- **საგანგებო პერიოდში უზრუნველყოფილ იქნას დაწესებულებებში მცხოვრები პირების უფლებების მუდმივი პატივისცემა,** მათ შორის ექსპლუატაციისგან გათავისუფლება, ძალადობის აღკვეთა, დისკრიმინაციის აკრძალვა, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის უფლება და სამართლიანობის ხელმისაწვდომობა.[8]
- **მდგომარეობის უკეთ აღდგენა დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიების მიღებით** დაწესებულებების დახურვისა და საზოგადოებაში ამ ადამიანების დაბრუნების მხრივ, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმული პირების მხარდაჭერისა და მომსახურების გაძლიერების გზით.

წყაროები

- WHO, ინფექციის პროფილაქტიკა და კონტროლი გრძელვადიანი მზრუნველობითი დაწესებულებებისთვის COVID-19 კონტექსტში, შუალედური სახელმძღვანელო, 2020 წლის 21 მარტი
- WHO, მოსაზრებები შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით COVID-19 აფეთქების დროს
- ფსიქოსოციალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადება COVID-19 პანდემიის კონტექსტში რეკომენდაციებით

3. რა გავლენას ახდენს COVID-19 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ცხოვრების უფლებაზე?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები აწყდებიან გარკვეულ ბარიერებს საზოგადოებაში ყოველდღიურობისას COVID-19-ზე რეაგირების ღონისძიებების გამო. კერძოდ, შინ დარჩენის შეზღუდვები, რომლებიც არ ითვალისწინებს მათ საჭიროებებს, იწვევს ზიანს და ახალ საფრთხეს უქმნის მათ ავტონომიას, ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.[9]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბევრი პირი, რომლებიც ყოველდღიური ცხოვრებისთვის ეყრდნობიან სხვებს (მომსახურების მიმწოდებლების ოფიციალურ დახმარებას ან ნათესავების/მეგობრების არაფორმალურ დახმარებას) რჩებიან დახმარების გარეშე, მოძრაობის შეზღუდვისა და ფიზიკური დისტანცირების ზომების გამო. ამან შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს ისინი საკვებზე, აუცილებელ ნივთებზე და მედიკამენტებზე წვდომის შეზღუდვის კუთხით და ხელი შეუშალოს ყოველდღიური ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, როგორიცაა დაბანა, საჭმლის მომზადება ან ჭამა.

COVID-19-ის ღონისძიებების შესახებ საჯარო ინფორმაცია არ ვრცელდება სისტემატურად და ხელმისაწვდომი ფორმატით და საშუალებებით, რათა მიწვდეს ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს (მაგ. ჟესტების ენის ინტერპრეტაცია, სუბტიტრები, ადვილად წასაკითხი ფორმატი და ა.შ.)

გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზოგიერთმა პირმა, როგორიცაა ფსიქოსოციალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და აუტისტი პირები, შესაძლოა ვერ გაუმკლავდნენ მკაცრ იზოლაციას სახლში. ხანმოკლე და სიფრთხილის ზომების დაცვით გარეთ გასვლა დღის განმავლობაში მათთვის მნიშვნელოვანია ამ სიტუაციის დასაძლევად.

რა პერსპექტიული პრაქტიკები არსებობს?

- **პარაგვაიმ**[10] და **პანამამ**[11] შეიმუშავეს სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომი ფორმატებით წარმოდგენას. ანალოგიურად, **ახალი ზელანდიის** ჯანდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდის განყოფილება ინფორმაციის ხელმისაწვდომ ფორმატში, ჟესტების ენისა და ადვილად წასაკითხი ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს.[12] **მექსიკის** მთავრობამ მსგავსი პრაქტიკა მიიღო.[13]
- **არგენტინაში**[14] დამხმარე პირები თავისუფლდებიან გადაადგილების შეზღუდვებისა და ფიზიკური დისტანცირებისგან, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება. **კოლუმბიაში** შეიქმნა საზოგადოების დამხმარე ქსელები, რომლებიც იღებენ მოხალისეებს, რომლებიც ეხმარებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და ხანდაზმულებს სასურსათო პროდუქტით და სხვა შენაძენებით მომარაგებით.[15] ასევე, **პანამაში**, რისკების შემცირების მიზნით, სპეციალური საათები გამოიყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და მათი პირადი თანაშემწეებისთვის აუცილებელი შესყიდვების განსახორციელებლად.[16]
- **დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულმა სამეფომ**[17] შეარბილა თავდაპირველი მკაცრი წესები და შემოიღო გამონაკლისები, რომლებიც აუტისტ პირებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გარეთ გასვლის საშუალებას მისცემს. **საფრანგეთმა** შემოიღო მსგავსი ზომები.[18]

რა არის ძირითადი ქმედებები, რომელთა განხორციელება შეუძლიათ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს?

- იმაში დარწმუნება, რომ **ინფორმაცია COVID-19-თან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომია, მათ შორის, ჟესტების ენაზე ინტერპრეტაციის, წარწერათა და ადვილად წასაკითხი ფორმატების საშუალებით.

- იმის უზრუნველყოფა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამხმარე ინდივიდები გათავისუფლდნენ შინ დარჩენის შეზღუდვებისგან, მათთვის დახმარების გაწევის მიზნით.
- **საზოგადოების დამხმარე ქსელების განვითარების ხელშეწყობა** და კოორდინაცია და დამცავი მასალების, მოწყობილობებისა და პროდუქტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- სუპერმარკეტებში, სასურსათო მაღაზიებსა და სხვა აუცილებელ მაღაზიებში სამუშაო საათების დადგენა, რაც პირველ რიგში გაითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მათ პირად დამხმარეებს, სახლში დარჩენის/იზოლაციის ღონისძიებების დროს.
- **შეზღუდული შესაძლებლობების პირთა გონივრული საცხოვრისის უზრუნველყოფა,** რომელიც გამორიცხავს სახლიდან გასვლის საყოველთაო აკრძალვის განხორციელებას და ჯარიმების დაკისრებას, და გულისხმობს მათთვის გარეთ ყოფნის გამონაკლისების დაშვებას.

წყაროები

- WHO, მოსაზრებები შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით COVID-19 აფეთქების დროს
- UNPRPD, ILO და სხვები, შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ინკლუზიური სოციალური დაცვითი რეაგირება COVID-19 კრიზისზე

4. რა გავლენას ახდენს COVID-19 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამუშაოზე, შემოსავალზე და საარსებო წყაროზე?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უფრო ნაკლებად არიან დასაქმებულები ვიდრე სხვები, და დასაქმების დროს ისინი უფრო ხშირად მუშაობენ არაფორმალურ სექტორში.[19] შედეგად, მათ ნაკლები წვდომა აქვთ სოციალურ დაზღვევაზე დასაქმების საფუძველზე, ვიდრე სხვებს, რაც ამცირებს მათ ეკონომიკურ მდგრადობას COVID-19-ის ამჟამინდელ კონტექსტში. მათ, ვინც დასაქმებულია ან თვითდასაქმებულია[20], შესაძლოა ხელი შეეშალოთ სახლიდან მუშაობაში ხელსაწყოებისა და დახმარების საშუალებების არარსებობის გამო, რომლებიც სამუშაო ადგილზე არსებობს, და დადგნენ შემოსავლისა და სამსახურის დაკარგვის რისკების წინაშე. გარდა ამისა, COVID-19 ზომებმა შეიძლება არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, რაც ხელს უშლის ოჯახის წევრების და ოჯახის მარჩენლების მუშაობას, რაც უარყოფითად აისახება ოჯახის მთლიან შემოსავალზე. შემოსავლის ნაკლებობა წარმოადგენს არაპროპორციულ დატვირთვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე და მათ ოჯახზე, რომლებსაც, როგორც წესი, აქვთ დამატებით ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია შეზღუდულ შესაძლებლობებთან (ხელმისაწვდომი საცხოვრებელი და აღჭურვილობა, დამხმარე საშუალებები, სპეციფიური ნივთები და მომსახურება და ა.შ.), და ეს მათ უფრო სწრაფად უბიძგებს სიღარიბისკენ.

რა პერსპექტიული პრაქტიკები არსებობს?

- COVID-19-ის საპასუხოდ, **ბულგარეთმა, მალტამ** და **ლიეტუვამ** გაზარდეს მათი სოციალური დაცვის სისტემების დაფინანსება სოციალური დახმარების სერვისების გაფართოების მიზნით და მეტი ბენეფიციარის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოცვისთვის.[21]
- **არგენტინასა** და **პერუში,** უნარშეზღუდულობის შემწეობის მიმღები ინდივიდები მიიღებენ დამატებით თანხას COVID-19-ის კრიზისის ფონზე[22]. **საფრანგეთმა** ანალოგიური ღონისძიება გამოაცხადა შეზღუდული შესაძლებლობის შემწეობის[23] ბენეფიციარების სასარგებლოდ, ხოლო **ტუნისის** საგანგებო გეგმა მოიცავს ფულად გზავნილებს დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და უსახლკაროებისთვის.[24]

- **ამერიკის შეერთებულმა შტატებმა**[25] დაადგინა გადასახადების შემსუბუქების პროგრამები, რომლებიც ამ კონტექსტში ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფინანსური მდგომარეობის შემსუბუქებას.

რა არის ძირითადი ქმედებები, რომელთა განხორციელება შეუძლიათ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს?

- **ფინანსური დახმარების გაწევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ყოველგვარი შემოსავლის გარეშე** (მაგ. ერთჯერადი გადასახადები; გადასახადების შემსუბუქების ზომები, საქონლის სუბსიდირება და ა.შ.).
- **არსებული სარგებლის გაზრდა,** მათ შორის გადახდების ავანსის საშუალებით, დამატებითი ხარჯების დასაფარად.
- შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული ნებისმიერი უფლებამოსილების **ავტომატური გახანგრძლივება.**
- **ფინანსური კომპენსაციის** გაცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თვითდასაქმებული პირებისთვის, რომლებსაც შეუმცირდათ შემოსავალი.
- **ფინანსური დახმარების პროგრამების** განხორციელება იმ პირებისთვის, რომელთაც შეწყვიტეს მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრის (წევრების) დახმარების ან მათი დაინფიცირების თავიდან აცილების მიზნით და რომლებსაც არ ეხება უმუშევრობის ან ავადმყოფობის შეღავათები.
- **ფინანსური დახმარების გაწევა,** მათ შორის, საგადასახადო კრედიტების საშუალებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამსაქმებლებისთვის ტელეკომერციისთვის საჭირო აღჭურვილობის უზრუნველსაყოფად.
- იმის უზრუნველყოფა, რომ კვების მიწოდების სქემები მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და რეაგირებენ მათ საჭიროებებზე, მათ შორის ლოჯისტიკურ ზომებზე, მათთვის სახლში საკვების მიწოდებითვის.

წყაროები

- ILO, არავინ გამოგვრჩება, არც ახლა და არც არასდროს: შეღუდული შესაძლებლობების მქონე პირები COVID-19-ზე რეაგირებაში
- UNPRPD, ILO და სხვები, შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ინკლუზიური სოციალური დაცვითი რეაგირება COVID-19 კრიზისზე
- საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საპასუხო პოლიტიკა COVID-19-ზე

5. რა გავლენას ახდენს COVID-19 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების უფლებაზე?

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები უფრო ხშირად არ ამთავრებენ სწავლას ვიდრე სხვები, და ხშირია მათი სრულად სკოლიდან გამოყოფის შემთხვევებიც.[26] COVID-19-ის გამო, ქვეყნების უმეტესობამ დროებით დახურა საგანმანათლებლო დაწესებულებები[27], რამაც გავლენა მოახდინა ყველა სტუდენტზე, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებზეც. განათლებაში შეფერხების გავლენის შესამცირებლად, ზოგიერთი სახელმწიფო იყენებს დისტანციური სწავლების პრაქტიკას. თუმცა, ამ შემთხვევებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები აწყდებიან საჭირო მოწყობილობების არარსებობის, ინტერნეტზე წვდომის, ხელმისაწვდომი მასალების და დახმარების ბარიერებს ონლაინ სასკოლო პროგრამების გავლისას. შედეგად, ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტი, განსაკუთრებით ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები რჩებიან სწავლების ამ პრაქტიკის მიღმა.

გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებზე ასევე უარყოფითად მოქმედებს სკოლის დახურვით გამოწვეული სხვა შეფერხებები, როგორიცაა სკოლის კვებაზე წვდომა და თანატოლებთან ერთად თამაში და სპორტით დაკავების შესაძლებლობები.

რა პერსპექტიული პრაქტიკები არსებობს?

- **ამერიკის შეერთებულმა შტატებმა** გამოსცა სახელმძღვანელო დოკუმენტი მოქმედი ფედერალური კანონმდებლობის შესაბამისად, აქტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ.[28]
- **ეკვადორმა** მასწავლებლებისთვის გასცა რეკომენდაციები იმ ბავშვების სწავლების ხელშეწყობის შესახებ, რომლებსაც სახლში იზოლირება სჭირდებათ.[29]
- **დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულმა სამეფომ** გაავრცელა ინფორმაცია და შეიქმნა სისტემები მშობლებისა და აღმზრდელების დასახმარებლად, რომლებიც მათ უხელმძღვანელებენ, თუ როგორ უნდა შეხვდნენ კონკურენტულ პასუხისმგებლობებს სახლში ყოფნისას და როგორ დაუჭირონ მხარი უკეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის საგანმანათლებლო პროცესებს.[30]

რა არის ძირითადი ქმედებები, რომელთა განხორციელება შეუძლიათ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს?

- **მკაფიო მითითებების მიწოდება** განათლებისა და სკოლის ხელმძღვანელობებისთვის მათი ვალდებულებების მასშტაბისა და არსებული რესურსების მრავალფეროვნების შესახებ, სკოლების გარეთ განათლების მიღებისას.
- **ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფა დისტანციური სწავლებისთვის და პროგრამული უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობის** უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, მათ შორის დამხმარე მოწყობილობების და გონივრული აკომოდაციის რეგულირება.
- დისტანციური სწავლების საშუალებით ინკლუზიური განათლების შესახებ **მასწავლებლების ტრენინგი და მხარდაჭერა.**
- **მჭიდრო კოორდინაციის დამყარება** მშობლებთან და მომვლელებთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ადრეული სწავლებისთვის.
- **მშობლებისა და მომვლელებისთვის მითითებითი და დისტანციური დახმარების გაწევა,** რათა უზრუნველყონ მოწყობილობების დაყენება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საგანმანათლებლო პროგრამის მხარდაჭერა.
- შეზღუდული შესაძლებლობის სტუდენტებისათვის **ხელმისაწვდომი და ადაპტირებული მასალების შემუშავება** დისტანციური სწავლების ხელშესაწყობად.
- **ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო აუდიოვიზუალური მასალების შემუშავება,** რომელთა გავრცელება მოხდება სხვადასხვა მედიის საშუალებით (მაგალითად, ინტერნეტით მოთხოვნის საფუძველზე, სატელევიზიო საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით, ა.შ.).

წყაროები

- CRC კომიტეტის განცხადება ბავშვებზე COVID-19 პანდემიის მძიმე ფიზიკური, ემოციური და ფსიქოლოგიური გავლენის შესახებ და მოწოდება სახელმწიფოებს, დაიცვან ბავშვთა უფლებები.
- UNICEF, COVID-19: მოსაზრებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მოზარდების შესახებ
- UNESCO, ვებ-გვერდი COVID-19 -ზ რეაგირების შესახებ

6. რა გავლენას ახდენს COVID-19 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძალადობისგან დაცვის უფლებაზე?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ძალადობის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან, განსაკუთრებით იზოლაციის დროს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები დგანან უფრო მაღალი

სექსუალური, ინტიმური პარტნიორის და ოჯახური ძალადობის რისკის წინაშე.[31] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები არამარტო ძალადობის უფრო მაღალი რისკების წინაშე დგანან სხვა ქალებთან შედარებით, არამედ მათზე ხდება უფრო მაღალი დონის ძალადობა, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მამაკაცებზე.[32] მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის და გენდერული ძალადობის შესახებ COVID-19 კონტექსტში ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მსგავს გარემოებებში, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან ძალადობის რისკის ქვეშ.[33]

ოჯახში ძალადობის სერვისებისა და დახმარების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით რთულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რადგან ეს სერვისები ჩვეულებრივ არ არის ხელმისაწვდომი მათთვის. ცხელი ხაზები ხშირად არ არის აღჭურვილი ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის ინტერპრეტაციის მომსახურებით, ხოლო საგანგებო თავშესაფრები და სერვისები არ არიან შესაბამისად აღღურვილნი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

რა პერსპექტიული პრაქტიკები არსებობს?

პერუში გაიცა მითითებები ადგილობრივი მთავრობებისთვის, დაკავშირებოდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ტელეფონით კრიზისების დროს და პირადად საგანგებო სიტუაციების მოხსნის შემდეგ, და ეცნობებინათ მათი ვალდეულების შესახებ, განაცხადონ ნებისმიერი ძალადობასთან დაკავშირებული შემთხვევა.[34] ამის გარდა, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა ვერ დაადგინა ახალი პერსპექტიული პრაქტიკა ამ სფეროში, რაც ამაღლებს შეშფოთების დონეს. რამდენიმე ქვეყანა აგრძელებს ხელმისაწვდომი ცხელი ხაზების, დახმარებისა და განაცხადების სერვისების მიწოდებას, მათ შორის, სმენადაქვეითებული[35] პირებისთვის მოკლეტექსტური შეტყობინებების და ვიდეო სატელეფონო მომსახურების. რამდენიმე კარგი პრაქტიკა განისაზღვრება ქვემოთ ჩამოთვლილ რესურსებში.

რა არის ძირითადი ქმედებები, რომელთა განხორციელება შეუძლიათ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს?

- **იმის უზრუნველყოფა, რომ შეტყობინების მექანიზმები, ცხელი ხაზები, საგანგებო თავშესაფრები და დახმარების სხვა ფორმები ხელმისაწვდომია და გათვლილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე**.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, განსაკუთრებით იზოლირებულად მცხოვრები პირების **მდგომარეობის მონიტორინგის განხორციელება** პროაქტიული ურთიერთობის საშუალებით საზოგადოების და ნებაყოფლობითი ქსელების მეშვეობით.
- **ცნობიერების ამაღლება და ტრენინგის ჩატარება** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის საფრთხის შესახებ და მხარდაჭერის ქსელების პოპულარიზაცია, მათ შორის თანატოლთა მხარდაჭერის.

წყაროები

- UNFPA, სახელმძღვანელო პრინციპები უფლებებზე დაფუძნებული და გენდერზე რეაგირებადი მომსახურებისთვის, გენდერული ძალადობისა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებების დასაცავად
- COVID-19 დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გადარჩენილ პირთა მომსახურებების შენარჩუნება

7. რა გავლენას ახდენს COVID-19 მოსახლეობის სპეციფიკურ ჯგუფებზე, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ჭარბად არიან წარმოდგენილი?

ა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ჭარბად არიან წარმოდგენილი ციხის ბინადართა შორის[36], განსაკუთრებით ფსიქოსოციალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. ისინი ინფიცირების გაზრდილი რისკის ქვეშ იმყოფებიან ინფიცირების მაღალი რისკის გამო ხალხმრავალ და არაჰიგიენურ პირობებში, სადაც ფიზიკური დისტანცირება შეუძლებელია. კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მრავალი პატიმარი დამოკიდებულია მათი თანამობინადრეების არაფორმალურ მხარდაჭერაზე სურსათის მოპოვების, გადაადგილების და დაბანის კუთხით, ხოლო ციხის ჯანმრთელობის სამსახურები, როგორც წესი, არაადეკვატურია მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ამ გამოწვევებს განიცდიან არა მხოლოდ ციხეში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და წინასწარი პატიმრობის სისხლის სამართლის და პენიტენციური სისტემები, არამედ ისინიც, ვინც ამჟამად იმყოფება ნებისმიერი ფორმის ადმინისტრაციული ან სხვა პატიმრობაში, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მიგრანტები საიმიგრაციო პატიმრობაში.

რა პერსპექტიული პრაქტიკები არსებობს?

- **დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში** თავისუფლდებიან პატიმრები, რომლებსაც სასჯელის ვადა ორ თვეზე ნაკლები აქვთ დარჩენილი.[37] **ამერიკის შეერთებულ შტატებში** რამდენიმე შტატმა გაათავისუფლა ან პატიმრების გათავისუფლების პროცესშია.[38] მსგავსი პატიმრების გათავისუფლების ფაქტი მოხდა **ირანში**, **თურქეთში** და **ინდონეზიაში**. **კოლუმბიაში** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ ფუნქციური შეზღუდვები, რაც მათ ხელს უშლის თავდაცვის ზომების ავტონომიურად განხორციელებაში, ხვდებიან ნაადრევად გათავისუფლებულ ბენეფიციართა შორის.[39] ანალოგიურად, **არგენტინაში** უზენაესმა სასამართლომ და სისხლის სამართლის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წარმოადგენენ საპატიმროებიდან გასათავისუფლებელ ბენეფიციარებს.[40] **ბრაზილიაში,** იუსტიციის ეროვნულმა საბჭომ გამოსცა რეკომენდაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრების გადახედვის, გადაფასებისა და გათავისუფლების შესახებ, მათ შორის არასრულწლოვანთა კრიმინალურ სისტემაში მყოფი პატიმრებისთვის.[41]

რა არის ძირითადი ქმედებები, რომელთა განხორციელება შეუძლიათ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს?

- **ციხის მოსახლეობის შემცირება პატიმართა რისკ-ჯგუფების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ვადაზე ადრე გათავისუფლებისა და პრობაციის ან სასჯელის შემსუბუქების ან წინასწარი პატიმრობის შემცირების გზით,** და მხარდაჭერის უზრუნველყოფა ოჯახის და/ან არაფორმალური ქსელების საშუალებით, და საჯარო ან კერძო პროვაიდერების მხარდაჭერის სერვისების დაფინანსება.
- **ციხეებში პრევენციული ზომების განხორციელება** ინფიცირების რისკის შესამცირებლად, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრების იდენტიფიცირებით და მათთვის საკვებზე, წყალზე და სანიტარულ მომსახურებაზე წვდომის უზრუნველყოფით; იზოლაციისა და ფიზიკური დისტანცირების ზომების გამოყენება, დამცავი საშუალებების გამოყენება და ჰიგიენის პირობების გაუმჯობესება.

წყაროები

- WHO, COVID-19-ის პრევენცია და კონტროლი ციხეებსა და თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებებში
- გაეროს სააგენტოს მუდმივმოქმედი კომიტეტი, COVID-19: ფოკუსირება თავისუფლებააღკვეთილ პირებზე

8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სათანადო საცხოვრებლის გარეშე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, განსაკუთრებით ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ასევე ჭარბად არიან წარმოდგენილი უღარიბეს მოსახლეობებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსახლკარო პირები და საგანგებო თავშესაფრებში და არაფორმალურ დასახლებებში მცხოვრები პირები განსაკუთრებით დიდი რისკის წინაშე დგანან, დაინფიცირდნენ COVID-19-ით ხალხმრავალი საცხოვრებელი პირობების, წყალზე და სანიტარიის საჭიროებებზე ხელმისაწვდომობის არარსებობისა და მათი ჯანმრთელობის უკვე არსებული პრობლემების გამო.

COVID-19 საგანგებო სიტუაციამ უსახლკარო პირებს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, თავშესაფრისა და დახმარების ძიებისკენ უბიძგა, რამაც გამოიწვია გადაუდებელი თავშესაფრების გადაფარვა და ვირუსის გავრცელება. ადამიანები, რომლებიც ვერ ასრულებენ დიზიკურ დისტანცირებას საცხოვრებელი პირობების გამო, ასევე არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან.

რა პერსპექტიული პრაქტიკები არსებობს?

- **ამერიკის შეერთებულ შტატებში,** უსახლკარობის შესახებ რეაგირება მოხდა კონკრეტული მითითებებით, რომლებიც მოიცავს გაფართოებულ კომუნიკაციას შეზღუდული შესაძლებლობის კუთხით.
- **ჩილეში,** მთავრობამ გამოაცხადა, რომ გაიზრდება ჩართულობა ქუჩაში უსახლკაროებისთვის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.
- **არგენტინაში** 1000-ზე მეტი საწოლი დამონტაჟდა დიდ დაწესებულებაში, რათა გადაუდებელი თავშესაფარი მისცემოდათ მათ, ვისაც შესაძლოა დასჭირდეს ფიზიკური დისტანცირება კომპლექსური სამედიცინო მოთხოვნების გარეშე.

რა არის ძირითადი ქმედებები, რომელთა განხორციელება შეუძლიათ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს?

- **იმის უზრუნველყოფა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსახლკარო პირებს ექცევიან ღირსეულად და პატივისცემით,** და პირველი რესპონდენტები იღებენ **ტრენინგს და მითითებებს** კომუნიკაციის შესახებ, ძალადობრივი სიტუაციების თავიდან ასაცილებლად.
- **არაფორმალური დასახლებების იძულებითი გადაადგილების შეზღუდვა,** რადგან ეს ვირუსის გავრცელების დაჩქარებას ემსახურება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსახლკარო პირების მკურნალობა იქ, სადაც ისინი ცხოვრობენ და უსაფრთხო ხელმისაწვდომი თავშესაფარის შეთავაზება მათთვის, სადაც ეს შესაძლებელია.
- **თავშესაფრის სხვადასხვა ვარიანტების შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფს ფიზიკურ დისტანცირებას,** მათ შორის საიჯარო საკუთრებები, სასტუმროები, საკონფერენციო ცენტრები და სტადიონები, სათანადო სანიტარული და საცხოვრებელი პირობებით.
- **სანიტარული სერვისების მოწყობა ქუჩებში,** მათ შორის წყლის, საპნის, ნიჟარების და სხვა რესურსების განაწილება, წყლისა და სანიტარული პირობების არსებობის უზრუნველსაყოფად.

წყაროები

- გაეროს სპეციალური მომხსენებელი ადეკვატური საცხოვრებლის უფლების შესახებ, COVID-19 სახელმძღვანელო: დაცვა უსახლკაროდ მცხოვრებთათვის
- გაეროს სპეციალური მომხსენებელი ადეკვატური საცხოვრებლის უფლების შესახებ, COVID-19 სახელმძღვანელო: არაფორმალური დასახლებების მაცხოვრებლების დაცვა

წყაროები – საერთო

- CRPD კომიტეტი და გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი შეზღუდული შესაძლებლობების და ხელმისაწვდომობის საკითხებში, ერთობლივი განცხადება: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და COVID-19
- შეზღუდული შესაძლებლობების საერთაშორისო ალიანსი, COVID-19 და შეზღუდული შესაძლებლობების მოძრაობა
- შეზღუდული შესაძლებლობების და განვითარების საერთაშორისო კონსორციუმი: შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ინკლუზიისთვის საჭირო რესურსები და COVID-19
- ILO, არავინ გამოგვრჩება, არც ახლა და არც არასდროს: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები COVID-19 რეაგირებაში
- ფსიქოსოციალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციები, განცხადება COVID19-ზე და ფსიქოსოციალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ რეკომენდაციებით
- გაერო მუშაობს იმაზე, რომ უზრუნველყოს მოწყვლადი ჯგუფების ჩართვა COVID-19 რეაგირებაში
- UN ESCAP: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების უზრუნველყოფა და Covid-19-ზე რეაგირებაში ჩართვა
- გაეროს სააგენტოს მუდმივმოქმედი კომიტეტი, COVID-19: ფოკუსირება თავისუფლებააღკვეთილ პირებზე
- UNPRPD, ILO და სხვები, შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ინკლუზიური სოციალური დაცვითი რეაგირება COVID-19 კრიზისზე
- გაეროს სპეციალური მომხსენებლები და დამოუკიდებელი ექსპერტები, გამონაკლისების გარეშე COVID-19-ის დროს: “”ყველას აქვს სიცოცხლის გადასარჩენად ჩარევის უფლება”
- გაეროს სპეციალური მომხსენებელი შშმ პირთა უფლებების შესახებ, COVID-19: ვინ იცავს შშმ პირებს?
- UNFPA, სახელმძღვანელო პრინციპები უფლებებზე დაფუძნებული და გენდერზე რეაგირებადი მომსახურებისთვის, გენდერული ძალადობისა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებების დასაცავად
- UNICEF, COVID-19: მოსაზრებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მოზარდების შესახებ
- WHO, მოსაზრებები შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით COVID-19 აფეთქების დროს
- WHO, ინფექციის პროფილაქტიკა და კონტროლი გრძელვადიანი მზრუნველობითი დაწესებულებებისთვის COVID-19 კონტექსტში, შუალედური სახელმძღვანელო, 2020 წლის 21 მარტი
- WHO, COVID-19-ის პრევენცია და კონტროლი ციხეებსა და თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებებში

---

[1] იხ. http://www.sanita.sm/on-line/home/bioetica/comitato-sammarinese-di-bioetica/documents-in-english/documento2116023.html.

[2] იხ. https://www.hhs.gov/sites/default/files/ocr-bulletin-3-28-20.pdf

[3]იხ.https://www.khaleejtimes.com/coronavirus-pandemic/combating-coronavirus-uae-launches-home-testing-programme-for-people-of-determination

[4] იხ. https://www.facebook.com/pg/chrgovph/photos/?tab=album&album_id=2681151298668065&__tn__=-UC-R

[5]იხ. https://www.canada.ca/en/employment-social-development/news/2020/04/backgrounder--covid-19-disability-advisory-group.html

[6] ადელინა კომას-ჰერერა და ხოსება ზალაკაინი, ” COVID-19 აფეთქებებთან ასოცირებული სიკვდილიანობა მზურველობის სახლებში: ადრეული საერთაშორისო მტკიცებულებები”, საერთაშორისო გრძელვადიანი ზრუნვის პოლიტიკის ქსელი, 2020 წლის 12 აპრილი, გვ. 5.

[7] იხ. http://www.health.gov.on.ca/en/pro/programs/publichealth/coronavirus/docs/2019_testing_guidance.pdf

[8] ფსიქოსოციალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადება რეკომენდაციებით COVID-19 პანდემიის კონტექსტში შემდეგ ბმულზე: https://dkmedia.s3.amazonaws.com/AA/AG/chrusp-biz/downloads/357738/COVID19-and-persons-with-psychosocial-disabilities-final_version.pdf

[9] ჩინეთში ეპიდემიის დასაწყისში, ცერებრალური დამბლით დაავადებული 16 წლის მოზარდი გარდაიცვალა, რადგან ოჯახის წევრები იზოლირებულნი იყვნენ და ვერ ზრუნავდნენ ბავშვზე.

[10] პარაგვაის შეზღუდული შესაძლებლობების ფოკუსურმა წერტილმა (SENADIS) დაიწყო სოციალური მედიის გამოყენება ჟესტების ენაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სმენის არმქონე საზოგადოების წვდომისთვის ხელშესაწყობად.

[11] იხ. SENADIS, პანამა იღებს ზომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩასართავად covid-19, 3.1.

[12] იხ. https://www.health.govt.nz/our-work/diseases-and-conditions/covid-19-novel-coronavirus/covid-19-novel-coronavirus-resources/covid-19-novel-coronavirus-new-zealand-sign-language

[13] იხ. https://coronavirus.gob.mx.

[14] არგენტინა, Decree 297/2020, მუხლი 6.5.

[15] ასეთ პრაქტიკას ემხრობიან ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა კოლუმბია (იხ. https://www.minsalud.gov.co/sites/rid/Lists/BibliotecaDigital/RIDE/DE/PS/asif13-personas-con-discapacidad.covid-19.pdf

[16] იხ. SENADIS, Panama ატარებს ზომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩასართავად covid-19, 3.3.

[17] იხ. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ხშირად დასმული კითხვები კორონა ვირუსზე: რისი გაკეთება შეგიძლიათ და რისი გაკეთებაც არ შეგიძლიათ, ნაწილი 15

[18] იხ. პრემიერ მინისტრის სახელმწიფო მდივანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პასუხისმგებლობა, ბმულზე https://handicap.gouv.fr/autisme-et-troubles-du-neuro-developpement/infos-speciales-coronavirus/article/information-covid-19-et-confinement

[19] იხ. OECD, დაავადება, *შეზღუდული შესაძლებლობები და სამუშაო. ბარიერების გადალახვა,* გვერდი 23, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ უმოქმედობის უფრო მაღალი მაჩვენებელი სხვებთან შედარებით: 49% -დან 20% -მდე, შესაბამისად

[20] იხ., UNDESA, *შეზღუდული შესაძლებლობები და განვითარების ანგარიში,* გვერდი 157, გამოსახულება II.81, სადაც მითითებულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები 9% -ით მეტია თვითდასაქმებულთა შორის (მონაცემები 19 ქვეყნის მიხედვით)

[21] ბულგარეთი, State Gazette, 24 March 2020, მუხლი.12; IMF, COVID-19-ის საპასუხო პოლიტიკა, https://www.imf.org/en/Topics/imf-and-covid19/Policy-Responses-to-COVID-19#T

[22] იხ. https://www.argentina.gob.ar/noticias/bono-extraordinario-para-las-personas-con-discapacidad-que-cobran-pensiones-no

[23] იხ. https://informations.handicap.fr/a-prime-solidaire-aah-covid-12818.php

[24] IMF, COVID-19-ის საპასუხო პოლიტიკა, https://www.imf.org/en/Topics/imf-and-covid19/Policy-Responses-to-COVID-19#T

[25] იხ. https://www.benefits.gov/benefit/945

[26] მაგალითად. დაწყებითი სკოლისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასრულების მაჩვენებელი 56% -ია, სხვებისთვის 73%.

[27] იხ. აშშ. განათლების დეპარტამენტი, კითხვები და პასუხები კორონავირუსის 2019 წლის ეპიდემიის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მომსახურებასთან დაკავშირებით, მარტი 2020

[28] იხ. აშშ. განათლების დეპარტამენტი, კითხვები და პასუხები კორონავირუსის 2019 წლის ეპიდემიის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მომსახურებასთან დაკავშირებით, მარტი 2020

[29] იხ. https://educacion.gob.ec/wp-content/uploads/downloads/2020/03/Anexo-2-RECOMENDACIONES-A-LOS-DOCENTES-PARA-BRINDAR-APOYO-PEDAGÓGICO-A-LOS-ESTUDIANTES-EN-AISLAMIENTO-EN-FUNCIÓN-DE-PREVENIR-POSIBLES-CONTAGIOS-POR-ENFERMEDADES-RESPIRATORIAS.pdf

[30] იხ. გაერთიანებული სამეფო, https://www.gov.uk/guidance/supporting-your-childrens-education-during-coronavirus-covid-19. ასევე იხ., https://www.gov.uk/guidance/help-children-with-send-continue-their-education-during-coronavirus-covid-19

[31] ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, *COVID-19 და ქალთა მიმართ ძალადობა რისი გაკეთება შეუძლია ჯანმრთელობის სექტორს / სისტემას* ბმულზე https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/331699/WHO-SRH-20.04-eng.pdf

[32] UNDESA, შეზღუდული შესაძლებლობები და განვითარების ანგარიში, გვერდები. 7, 16, 113-115, 249-252, ბმულზე https://social.un.org/publications/UN-Flagship-Report-Disability-Final.pdf; სპეციალური მომხსენებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, მუხლები/72/133, აბზაცი 35

[33] ემა პირსი, *შეზღუდული შესაზლებლობების პირთა საკითხები გბვ პროგრამირებაში COVID-19 პანდემიის დროს,* ბმულზე https://gbvaor.net/sites/default/files/2020-03/Disability%20Considerations%20in%20GBV%20programming%20during%20COVID_Helpdesk.pdf

[34] პერუ, განვითარების სამინისტრო და სოციალური ინკლუზია, ვიცე-მინისტრის რეზოლუცია *N° 001-2020-MIDIS/VMPES*, 24 აპრილი 2020, ბმულზე https://www.gob.pe/institucion/midis/normas-legales/484313-001-2020-midis-vmpes

[35] ავსტრალიის ეროვნული სექსუალური ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკონსულტაციო სამსახური https://www.1800respect.org.au/accessibility/ ; კორონავირუსი დიდ ბრიტანეთში (COVID-19): ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება https://www.gov.uk/government/publications/coronavirus-covid-19-and-domestic-abuse/coronavirus-covid-19-support-for-victims-of-domestic-abuse#disability-specialist-services

[36] სისხლის სამართლის რეფორმა საერთაშორისო, გლობალური ციხის ტენდენციები 2020, ბმულზე https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2020/04/Global-Prison-Trends-2020-Penal-Reform-International.pdf

[37] სახელმძღვანელო: კორონავირუსი (COVID-19) და ციხეები, ბმულზე https://www.gov.uk/guidance/coronavirus-covid-19-and-prisons

[38] https://www.prisonpolicy.org/virus/virusresponse.html

[39] კოლუმბია, საკანონმდებლო განკარგულება 546, 14 აპრილი 2020, ბმულზე https://dapre.presidencia.gov.co/normativa/normativa/DECRETO%20546%20DEL%2014%20DE%20ABRIL%20DE%202020.pdf

[40] არგენტინა, ეროვნული უზენაესი სასამართლო, *შეთანხმება 10/2020*, და დამატებითი რეგულაცია, სისხლის სამართლის სააპელაციო სასამართლო, *შეთანხმება 9/2020*, ბმულზე https://cnpt.gob.ar/wp-content/uploads/2020/04/Acordada-9.20-CFCP.pdf

[41] ბრაზილია, იუსტიციის ეროვნული საბჭო, რეკომენდაცია 62, 17 მარტი 2020, ბმულზე https://www.cnj.jus.br/wp-content/uploads/2020/03/62-Recomenda%C3%A7%C3%A3o.pdf